



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ნოე ქაშიბაძე

25 ივლისი 2017 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N38/36

2016 წლის 1 იანვარი - 2017 წლის 1 იანვარი

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა	3
რეკომენდაციები	4
აუდიტის მიზანი.....	4
აუდიტის მასშტაბი	5
აუდიტის საგანი	5
კრიტერიუმები	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	8
აუდიტის ანგარიშის ფორმა.....	8
ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა	8
1. შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება	10
2. საბიუჯეტო დეფიციტის მართვა	12
3. მიმდინარე რემონტის ხარჯები.....	13
სხვა დარღვევა/ნაკლოვანებები	16
4. სახელმწიფო შესყიდვები	16
5. ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული დოკუმენტაცია	17
6. კონტროლი მმართველობაში შემავალ სსიპ-ზე	20
7. წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა	20
შემაჯამებელი დასკვნა	21
რეკომენდაციები	25

შემაჯამებელი მიმოხილვა

1. 2016 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში დასაქმებული იყო შტატგარეშე 16 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 85,085.69 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად (გვ. 10);

2. 2016 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში დასაქმებული იყო შტატგარეშე 12 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 51,218.47 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად (გვ. 11);

3. საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2016 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2015 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ 2016 წელს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 4%-ით (გვ. 12);

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში აუდიტის პერიოდში საერთო ჯამში გამარტივებული შესყიდვით შეძენილი იყო 10,731.41 ლარის ღირებულების სარემონტო მასალები და 6,433.75 ლარის ღირებულების მომსახურება. დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით, ვინაიდან თითოეული CPV კოდით შესყიდული ობიექტების ჯამური თანხა არ ცდებოდა დადგენილ მონეტარულ ზღვრებს და დეპარტამენტის საქმიანობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე ოფისის რემონტის პრიორიტეტის საკითხი განიცდიდა მუდმივ ცვლილებას, ტენდერი არ გამოცხადებულა და ჩატარდა გამარტივებული შესყიდვები. ამასთან, სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით ბაზრის კვლევა ძირითადად ხდებოდა უშუალო დათვალიერების და ზეპირი გამოკითხვის გზით, რაც ოფიციალურად (დოკუმენტურად) ვერ დასტურდება. დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ვერ ასახავს სათანადო და საკმარისი ღონისძიებების განხორციელებას, რაც გულისხმობს: შესყიდვების წლიური გეგმის და შესყიდვის ობიექტების სპეციფიკაციების პროექტის პირველადი საჭიროებების მკაფიოდ განსაზღვრას, ანუ საჭიროებების დაკმაყოფილების ალტერნატივების განხილვას და ყველაზე მისაღების შერჩევას; ბაზრის სრულყოფილი კვლევის მიზნით, შესყიდვის ობიექტების მიმართ წაყენებული მოთხოვნების მოკლე აღწერას და სავარაუდო

პრეტენდენტებისათვის შესაბამისი წერილების გაგზავნას (ოფიციალური კორესპოდენცია). ყოველივე აღნიშნული კი მოქმედი კანონმდებლობის და მეთოდოლოგიის შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იყოს დაგეგმვის ეტაპზე (გვ. 13);

რეკომენდაციები

1. შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად (გვ. 11);
2. შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად (გვ.12);
3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა (გვ. 13);
4. შესყიდვების გეგმის ბიუჯეტის შესახებ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესდეს შესაბამისი კონტროლი. შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე განხორციელდეს საჭიროებების მკაფიოდ განსაზღვრა და ყველაზე მისაღები ალტერნატივების შერჩევა. ჩატარდეს ბაზრის ჯეროვანი შესწავლა კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს რესურსების ეფექტიანი, ეკონომიური და პროდუქტიული ხარჯვის გამჭვირვალობას (გვ. 16);

აუდიტის მიზანი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მიერ 2016 წელს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესაბამისობის აუდიტის მიზანია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე,

ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა დეპარტამენტის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2016 წელს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა:

- 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- 2016 წელს საქმიანობის განსახორციელებლად მიღებული დაფინანსება, მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები;
- ნორმატიული აქტებით დეპარტამენტზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მდგომარეობა;

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა: დაფინანსება (ასიგნებები); ძირითადი აქტივები; დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები; შრომის ანაზღაურების, მივლინების, სატრანსპორტო და წარმომადგენლობითი ხარჯები; განხორციელებული შესყიდვები;

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 172 დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 21 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13 გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომატქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 ნოემბრის №49 დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს №34 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №23 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამოებები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (სას) პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება დეპარტამენტის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2016 წლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა დეპარტამენტის მიერ 2016 წელს საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზნობრიობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

დეპარტამენტის მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

ა) მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარისათვის წინადადებებისა და შესაბამისი დასკვნების წარდგენის მიზნით, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის (შემდგომში - დევნილი) პრობლემების გადაჭრის საკითხებში არსებული საერთაშორისო, სამთავრობო, საზოგადოებრივი და აკადემიური გამოცდილების, პროგრამებისა და ინიციატივების, კვლევებისა და მოსაზრებების შეგროვება, გაანალიზება და შეჯერება;

ბ) დევნილი მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესების ხელშეწყობისა და პრობლემების გადაჭრის მიზნით მთავრობასთან, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კოორდინირებული ურთიერთობა;

გ) დევნილთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართვისათვის წინადადებებისა და პროექტების შემუშავება;

დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საინიციატივო ჯგუფებთან და დაინტერესებულ

ფიზიკურ პირებთან ურთიერთობების წარმართვა დევნილთა სახელმწიფოზე დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირებისა და მათი თვითკმარობის უზრუნველყოფისათვის წინადადებების შემუშავების მიზნით;

ე) მთავრობის გამგებლობაში არსებული დაწესებულების - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მართვა, წარმომადგენლობის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობა.

- ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან;
- ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი:

დეპარტამენტის მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

ა) სამართალშემოქმედება და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

გ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების მოქმედების შეჩერების ან გაუქმების მოთხოვნა;

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებებით რეფორმის გატარების მიზნით რეკომენდაციების, წინადადებებისა და საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება;

ე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ში გამოსაქვეყნებლად წარდგენა;

ვ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმიანობის განხორციელება;

ზ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიმღებ პირებზე გასაცემი პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

თ) ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია;

ი) კომპეტენციის ფარგლებში ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინიციატივების განხორციელების ფარგლებში მონაწილეობის მიღება;

კ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი ხასიათის პრობლემების გადაწყვეტაში ხელშეწყობა;

ლ) აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამართლებრივი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებაში ხელშეწყობა;

მ) დეპარტამენტის მოსამსახურეთათვის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

ნ) საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების გადაწყვეტა;

- ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან;
- ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი:

ა) ზემო აფხაზეთის, გალის რაიონის და საქართველოს რეგიონებში განსახლებული დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა, მათი დასაქმება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საქმეში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებაში დახმარების გაწევა, აფხაზეთის აგროსასურსათო სექტორის რეაბილიტაციის პროექტების შემუშავება და მათი განხორციელება;

ბ) აფხაზეთის სამელიორაციო, აგრონომიული, საინჟინრო-ტექნიკური და სხვა სახის მომსახურეობის სტიმულირება და განვითარება;

გ) სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოებისათვის ხელშეწყობა;

დ) მიწის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, სოფლის მეურნეობის მმართველობითი რგოლების ორგანიზაციული-მეთოდური ხელმძღვანელობა და კონსულტირება;

- ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან;
- ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

1. შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები:

იმ პირობებში, როდესაც დეპარტამენტში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 46 ერთეულს, 2016 წლის გარკვეულ პერიოდში (6 თვემდე) ან მთელი წლის განმავლობაში (7-12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 16 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა რაოდენობასთან მიმართებაში 35%)¹ და მათზე ანაზღაურდა 85,085.69 ლარი, რაც დეპარტამენტში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (138,012.14 ლარის) 62 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (547,253.50 ლარის) 16 %.

¹ 16/46 X 100

წარმოდგენილი ინფორმაციით, შტატგარეშე მომუშავეთა გრძელვადიან პერიოდში დასაქმება ხდებოდა დეპარტამენტზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, თუმცა დეპარტამენტს დამატებითი საშტატო ერთეულის გამოყოფის მოთხოვნით ზემდგომი ორგანოსათვის არ მიუმართავს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,² შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნული ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. თუმცა შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, დეპარტამენტში 8 შტატგარეშე პირი (დამლაგებლის და 3 მძღოლის გარდა) აყვანილი იყო 7-12 თვის განმავლობაში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა 55,411.19 ლარი (თვეში საშუალოდ 590-650 ლარი). ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2016 წლის განმავლობაში მომუშავე 10 შტატგარეშე მოსამსახურე აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტში მუშაობდა 2015 წელსაც (4-12 თვით) და მათგან 4 ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს).

1. რეკომენდაცია

შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები:

იმ პირობებში, როდესაც დეპარტამენტში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 23 ერთეულს, 2016 წლის გარკვეულ პერიოდში (6 თვემდე) ან მთელი წლის განმავლობაში (6-12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 12 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა რაოდენობასთან მიმართებაში 52.17%)³ და მათზე ანაზღაურდა 51,218.47 ლარი, რაც დეპარტამენტში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (110,123.31 ლარის) 46.51 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (278,803.17 ლარის) 18.37 %.

წარმოდგენილი ინფორმაციით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება განპირობებული იყო დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის აუცილებელი, სხვა დამატებითი ფუნქციების შესასრულებლად. დეპარტამენტმა ზემდგომს (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას) მიმართა⁴ საშტატო რაოდენობის 3 ერთეულით

² საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლი და 23-მე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

³ 12/23 X 100

⁴ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის 2016 წლის 7 ივლისის N495/01 წერილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

გაზრდის თხოვნით, თუმცა საპასუხო წერილით⁵ ირკვევა, რომ ზემდგომმა მიმდინარე პერიოდისათვის საშტატო რიცხოვნობის ზრდა არ მიიჩნია მიზანშეწონილად.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,⁶ შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, დეპარტამენტში 8 შტატგარეშე პირი (მძღოლის და დამლაგებლის გარდა) აყვანილი იყო 2016 წლის მთელი პერიოდის განმავლობაში (6-12 თვე) და მათზე ანაზღაურდა - 34,767.32 ლარი (თვეში საშუალოდ 400-600 ლარი). ამასთან, ოთხი მათგანი მთელი პერიოდის განმავლობაში ასრულებდა თავდაპირველად დაკისრებულ მოვალეობებს, ხოლო დანარჩენ ოთხს გარკვეული პერიოდულობით ეცვლებოდათ ფუნქციები. შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2016 წლის განმავლობაში მომუშავე 7 შტატგარეშე მოსამსახურე დეპარტამენტში მუშაობდა 2015 წელსაც (8-11 თვით) და ყველა მათგანი ძირითადად ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ მოვალეობებს.

2. რეკომენდაცია

შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

2. საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები:

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2016 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2015 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, დეპარტამენტის მიერ 2016 წელს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 4%-ით.⁷ კერძოდ:

⁵ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის 2016 წლის 21 ივლისის N01/1419 წერილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

⁶ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლი; 23-მე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

⁷ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 და მე-3 პუნქტები, დანართის პირველი და მე-3 პუნქტები;

ხარჯები	2015წლის საკასო ხარჯი	2016წლის საკასო ხარჯი	სხვაობა (3-2)	%
1	2	3	4	5
შრომის ანაზღაურება	525,585.20	547,253.50	21,668.30	4,00%
თანამდებობრივი სარგო	467,913.20	453,583.50	-14,329.70	-3,00%
პრემია	57,672.00	93,090.00	33,145.95	61,00%
დანამატი	0.00	580.00	580.00	

ზემოაღნიშნული მიუთითებს საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების უზრუნველსაყოფად, გატარებული ღონისძიებების არაეფექტურობაზე.⁸

3. რეკომენდაცია

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა.

3. მიმდინარე რემონტის ხარჯები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები:

2016 წელს დეპარტამენტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდით 2238 „შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი“ ჯამში გახარჯულ იქნა 17,165.20 ლარი. თავდაპირველი საბიუჯეტო განაცხადით⁹ დეპარტამენტის მიერ აღნიშნული მუხლით მოთხოვნილი თანხა შეადგენდა 7,000.00 ლარს, ხოლო შესყიდვების თავდაპირველი გეგმით¹⁰ წარდგენილი იყო 10,343.00 ლარი¹¹. აფხაზეთის ავტონომიური

⁸ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი;

⁹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის 2015 წლის 24 აგვისტოს N985/01-გ წერილი;

¹⁰ ატვირთულია შესაბამის ელექტრონულ სისტემაში 2015 წლის 27 ოქტომბერს;

¹¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი;

რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის (ბიუჯეტის შესახებ კანონის) 2015 წლის 30 დეკემბერს გამოქვეყნების შემდეგ, დეპარტამენტის მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალურ განწერაში¹² აღნიშნული მუხლით გასაწევი ხარჯი განისაზღვრა 4,609.00 ლარით, ხოლო შესყიდვების გეგმაში შეტანილი ცვლილებებით 2016 წლის 9 იანვრამდე სარემონტო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულ იქნა 5,759.00 ლარი, თუმცა მე-2 კვარტლის ბოლომდე შესყიდვების გეგმაში შეტანილი ცვლილებებით სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე გასაწევი თანხები დაზუსტდა და განისაზღვრა 2,594.00 ლარით, ხოლო ფაქტიურად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3,794.70 ლარი. 2016 წლის 12 აპრილს ბიუჯეტის შესახებ კანონის დაზუსტების შემდეგ (ცვლილებებით და გადატანებით) აღნიშნული მუხლით გასაწევი ხარჯები დეპარტამენტის მიერ განისაზღვრა 8,809.00 ლარით, შესყიდვების გეგმაში 2016 წლის 20 მაისამდე შეტანილი კორექტირებებით კი 7,242.00 ლარით, ხოლო ჯამში საბოლოოდ გეგმის თანხამ შეადგინა 19,349.88 ლარი. დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები და წარდგენილი შესყიდვების გეგმები დინამიკაში ცხრილის სახით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბიუჯეტო განაცხადით (24.08.2015) 2.2.3.8 მიმდინარე რემონტის ხარჯები	შესყიდვების თავდაპირველი გეგმით (27.10.2015)	გამოქვეყნებული ბიუჯეტით (30.12.2015) 2.2.3.8 მიმდინარე რემონტის ხარჯები	გეგმაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ (09.01.2016-მდე)	გეგმაში შეტანილი ცვლილებები (09.01.2016-დან 12.04.2016 -მდე)	ბიუჯეტის ცვლილება (12.04.2016) 2.2.3.8 მიმდინარე რემონტის ხარჯები	გეგმაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ (12.04.2016 -დან 20.05.2016 -მდე)	საბოლოო თანხა გეგმით	ფაქტობრივად გადახდილი თანხა ჯამში
7,000.00	10,343.00	4,609.00	5,759.00	2,594.00	8,809.00	7,242.00	19,349.88	17,165.16

ამდენად, არცერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ბიუჯეტით დამტკიცებული თანხები არ ემთხვეოდა შესყიდვების გეგმით წარმოდგენილ მონაცემებს¹³;

დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით¹⁴ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის მიერ - 2016 წლის 15 იანვარს შედგენილი დეფექტური აქტით გათვალისწინებული საჭირო სარემონტო სამუშაოებიდან იანვრის თვეში მოხდა იატაკის დამუშავება და დაგება (65 მ²), რაზეც განხორციელდა ჯამში 3,184.70 ლარის ღირებულების მასალების და მომსახურების შესყიდვა. ასევე 2016 წლის 12 აპრილს შესრულდა 610,00 ლარის ღირებულების სხვადასხვა შესყიდვა.

¹² აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის 2016 წლის 08 იანვრის N13/04-გ წერილი;

¹³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი, მე-4, 4¹ და მე-5 პუნქტები; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი, მე-3, 3¹, 3² და მე-4 პუნქტები;

¹⁴ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის 2016 წლის 05 იანვრის ბრძანება N2 ა/ს - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის სარეგისტრაციო არსებული ფართის სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით კომისიის შექმნის შესახებ“;

კომისიის მიერ 2016 წლის 28 ივლისს შედგა ახალი დეფექტური აქტი, რომლის მიხედვით 03 აგვისტოდან 16 სექტემბრამდე განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჯამურმა ხარჯმა შეადგინა - 10,387.84 ლარი, ხოლო მე-4 კვარტალში - 2,982.62 ლარი. დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული CPV კოდით შესყიდული ობიექტების ჯამური თანხა არ ცდებოდა დადგენილ მონეტარულ ზღვრებს და საქმიანობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე ოფისის რემონტის პრიორიტეტის საკითხი განიცდიდა მუდმივ ცვლილებას, ტენდერი არ გამოცხადებულა და ჩატარდა გამარტივებული შესყიდვები. საერთო ჯამში გამარტივებული შესყიდვით შეძენილი იყო 10,731.41 ლარის ღირებულების სარემონტო მასალები და 6,433.75 ლარის ღირებულების მომსახურება¹⁵.

ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაციით სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით ბაზრის კვლევა ძირითადად ხდებოდა უშუალო დათვალიერების და ზეპირი გამოკითხვის გზით, რაც ოფიციალურად (დოკუმენტურად) ვერ დასტურდება.

დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ვერ ასახავს სათანადო და საკმარისი ღონისძიებების განხორციელებას, რაც გულისხმობს: შესყიდვების წლიური გეგმის და შესყიდვის ობიექტების სპეციფიკაციების პროექტის პირველადი საჭიროებების მკაფიოდ განსაზღვრას, ანუ საჭიროებების დაკმაყოფილების ალტერნატივების განხილვას და ყველაზე მისაღების შერჩევას; ბაზრის სრულყოფილი კვლევის მიზნით, შესყიდვის ობიექტების მიმართ წაყენებული მოთხოვნების მოკლე აღწერას და სავარაუდო პრეტენდენტებისათვის შესაბამისი წერილების გაგზავნას (ოფიციალურ მიმოწერას).

ყოველივე ზემოაღნიშნული მოქმედი კანონმდებლობის¹⁶ და მეთოდოლოგიის¹⁷ შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იყოს დაგეგმვის ეტაპზე.

ამდენად, სახელმწიფო შესყიდვების კუთხით აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში არსებულ პრობლემებზე, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სისუსტეზე, რაც ფაქტობრივად არ იძლევა გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში დადგენილი წესების დაცვით შესყიდვების უფრო გამჭვირვალედ და რაციონალურად¹⁸ განხორციელების შესაძლებლობას¹⁹.

¹⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №7-ის „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი;

¹⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის „შესყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი, 6¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი;

¹⁷ სახელმწიფო შესყიდვები: მეთოდური მითითებები შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპისათვის. 1.2.1 შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებების განსაზღვრა და შესყიდვების წლიური გეგმის პირველი პროექტის შემუშავება;

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვები: მეთოდური მითითებები შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპისათვის. 1.2.1 შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებების განსაზღვრა და შესყიდვების წლიური გეგმის პირველი პროექტის შემუშავება;

¹⁹ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი;

4. რეკომენდაცია

შესყიდვების გეგმის ბიუჯეტის შესახებ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესდეს შესაბამისი კონტროლი. შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე განხორციელდეს საჭიროებების მკაფიოდ განსაზღვრა და ყველაზე მისაღები ალტერნატივების შერჩევა. ჩატარდეს ბაზრის ჯეროვანი შესწავლა კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს რესურსების ეფექტიანი, ეკონომიური და პროდუქტიული ხარჯვის გამჭვირვალობას²⁰.

სხვა დარღვევა/ნაკლოვანებები

4. სახელმწიფო შესყიდვები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები:

2016 წელს განხორციელებული 71 სახელმწიფო შესყიდვიდან ერთიან ელექტრონული სისტემის CMR მოდულში 25 შემთხვევაში დარღვეული იყო ხელშეკრულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვის ვადები, ხოლო ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა ატვირთული.²¹ შესაბამისად, ფაქტობრივად ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის დროულად შეტანა.

5. რეკომენდაცია

შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი დოკუმენტაციის დროულად ატვირთვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა.

²⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტი;

²¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები:

2016 წელს განხორციელებული 110 სახელმწიფო შესყიდვიდან 22 შემთხვევაში (მათ შორის 10 საბოლოო) არ გაფორმებულა შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, ერთიანი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში არ იყო ატვირთული 70 შესრულება/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო ვადების დარღვევით ატვირთული იყო 6 ხელშეკრულება, 5 შესრულება/შეუსრულებლობის დამადასტურებელი და 14 გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი²². ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფაქტობრივად არ იყო უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება, ხოლო რიგ შემთხვევაში შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის ასახვა ან დროულად შეტანა.

6. რეკომენდაცია

შესყიდვების განხორციელების პროცესში გაფორმდეს შესაბამისი დოკუმენტები, ხოლო, შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა.

5. ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული დოკუმენტაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები:

➤ 2016 წელს შეძენილი არამატერიალური აქტივი (ვებ-გვერდი) ღირებულებით 375.00 ლარი, რომელიც საკუთარი შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენდა მცირეფასიან გრძელვადიან აქტივს, შეცდომით აღიარებულ იქნა, როგორც ძირითადი აქტივი და დაერიცხა ცვეთა²³;

²² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები;

²³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტი;

➤ 2016 წელს შესყიდული 2,234.00 ლარის ღირებულების "გრძლვადიანი მცირეფასიანი აქტივების" შემენისა და ხარჯებში ჩამოწერის ოპერაციები, ბალანსის დანართი ფორმა N5-ში არ ასახულა²⁴;

➤ ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში საწყის ნაშთად არ დაფიქსირებულა 2015 წლის 31 დეკემბერს შპს „რომპეტროლ საქართველოსგან“ მიღებული 1,146.60 ლარის ღირებულების (780 ლიტრი) საწვავის ტალონები²⁵. მოწოდებული ინფორმაციით, ფაქტობრივად გახარჯული 720.30 ლარის ღირებულების (490 ლიტრი) ტალონების საფასურის გადახდა განხორციელდა 2016 წლის 08 თებერვალს, ხოლო დარჩენილი 426.30 ლარის ღირებულების (290 ლიტრი) საწვავის ტალონები, შესაბამისი გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების გარეშე, დაუბრუნდა შპს „რომპეტროლ საქართველო“-ს. ამასთან, ტალონების შემენისა და ხარჯვის ოპერაციები 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-სა და ბალანსის დანართ ფორმა N5-ში არ ასახულა²⁶.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების აღრიცხვის და ხარჯვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას²⁷.

7. რეკომენდაცია

შესაბამისი საბუღალტრო გატარებების (კორექტირებების) შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით განხორციელდეს ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები:

➤ ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში საწყის ნაშთად არ დაფიქსირებულა 2015 წლის 31 დეკემბერს შპს „რომპეტროლ საქართველოსგან“ მიღებული 565.95 ლარის ღირებულების (385 ლიტრი) საწვავის ტალონები²⁸. ამასთან, ტალონების შემენისა და ხარჯვის ოპერაციები

²⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები;

²⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტი;

²⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები;

²⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები;

²⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტი;

2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-სა და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში არ ასახულა²⁹;

➤ ბალანსის დანართ ფორმა №3-ში ანგარიშზე 7300 „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“, არ იყო დაფიქსირებული ცვეთის თანხა 15,132.76 ლარის ოდენობით³⁰;

➤ საქონელი და მომსახურების მუხლიდან შეძენილი 798.15 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების (მ.შ 565.95 ლარის ღირებულების 385 ლიტრი საწვავის ტალონი) და 6,575.13 ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივების მიღება-გასვლა ასახული არ იყო ბალანსის დანართ ფორმა N 5-ში³¹;

➤ 668.00 ლარის ღირებულების დანაკლისები (2011 წელს მოპარული ლეპ-ტოპები), ასახული არ იყო ბალანსის დანართ ფორმა N7-ში³².

ამრიგად, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივებისა და დებიტორული დავალიანებების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას.³³

8. რეკომენდაცია

შესაბამისი საბუღალტრო გატარებების (კორექტირებების) შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით განხორციელდეს ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები:

➤ დეპარტამენტის მიერ 2016 წელს შეძენილი არამატერიალური აქტივი (ვებ-გვერდი) ღირებულებით 375.00 ლარი, რომელიც საკუთარი შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენდა მცირეფასიან გრძელვადიან აქტივს, შეცდომით აღიარებულ იქნა, როგორც ძირითადი აქტივი და დაერიცხა ცვეთა;³⁴

²⁹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები;

³⁰ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები;

³¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

³² საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები;

³³ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

³⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტი;

➤ საქონელი და მომსახურების მუხლიდან შეძენილი 1,997.2 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების (მ.შ 882.00 ლარის ღირებულების 600 ლიტრი საწვავის ტალონი) მიღება-გასვლა ასახული არ იყო ბალანსის დანართ ფორმა N5-ში³⁵;

➤ 12,773.00 ლარის ღირებულების დანაკლისები, რომელიც წარმოადგენს ზემო აფხაზეთში დარჩენილ ქონებას ასახული არ იყო ბალანსის ფორმა N7-ში³⁶.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივებისა და დებიტორული დავალიანებების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას.³⁷

9. რეკომენდაცია

შესაბამისი საბუღალტრო გატარებების (კორექტირებების) შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით განხორციელდეს ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

6. კონტროლი მმართველობაში შემავალ სსიპ-ზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები:

2016 წლის 1 იანვრიდან დეპარტამენტის სისტემაში იმყოფება სსიპ გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტო. დადგინდა, რომ სსიპ-ის კვარტალური და წლიური ბალანსების დამტკიცება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად³⁸ სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ არ მომხდარა.

10. რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება მოხდეს დადგენილი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

7. წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებისას.³⁹ კერძოდ:

³⁵ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები;

³⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტები;

³⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

³⁸ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი;

³⁹ სას-ის 2016 წლის 30 ივნისის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N37/36; სას-ის 2016 წლის 30 ივნისის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N38/36;

- 2016 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში კვლავ იყვნენ დასაქმებული შტატგარეშე მომუშავეები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად რიგ შემთხვევაში ირიცხებოდნენ ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში;
- 2015 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ 67 სახელმწიფო შესყიდვიდან, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში, 63 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი 255 შემთხვევაში დაგვიანებით იყო ატვირთული⁴⁰. მიუხედავად სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციისა, ორგანიზაციის მიერ 2016 წელს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საერთოდ არ ყოფილა ატვირთული;
- 2016 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში კვლავ იყვნენ დასაქმებული შტატგარეშე მომუშავეები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად რიგ შემთხვევაში ირიცხებოდნენ ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში;

სას-ის მიერ დაფიქსირებული ნაკლოვანებების მიუხედავად, მდგომარეობის გამოსწორების კუთხით მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წელს, ორგანიზაციის მიერ რაიმე სახის არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა.

11. რეკომენდაცია

შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმების კანონმდებლობის ჩარჩოში მოსაქცევად და შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში სათანადო დოკუმენტაციის ატვირთვის მოქმედი კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს სას-ის რეკომენდაციების შესრულება.

შემაჯამებელი დასკვნა

1. 2016 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში დასაქმებული იყო შტატგარეშე 16 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 85,085.69 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად (გვ. 10);

⁴⁰ სას-ის 2016 წლის 30 ივნისის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის 2015 წლის შესაბამისობის აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N37/36;

2. 2016 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში დასაქმებული იყო შტატგარეშე 12 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 51,218.47 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად (გვ. 11);
3. საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2016 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2015 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ 2016 წელს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 4%-ით (გვ. 12);
4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში აუდიტის პერიოდში საერთო ჯამში გამარტივებული შესყიდვით შეძენილი იყო 10,731.41 ლარის ღირებულების სარემონტო მასალები და 6,433.75 ლარის ღირებულების მომსახურება. დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით, ვინაიდან თითოეული CPV კოდით შესყიდული ობიექტების ჯამური თანხა არ ცდებოდა დადგენილ მონეტარულ ზღვრებს და დეპარტამენტის საქმიანობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე ოფისის რემონტის პრიორიტეტის საკითხი განიცდიდა მუდმივ ცვლილებას, ტენდერი არ გამოცხადებულა და ჩატარდა გამარტივებული შესყიდვები. ამასთან, სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით ბაზრის კვლევა ძირითადად ხდებოდა უშუალო დათვალიერების და ზეპირი გამოკითხვის გზით, რაც ოფიციალურად (დოკუმენტურად) ვერ დასტურდება. დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ვერ ასახავს სათანადო და საკმარისი ღონისძიებების განხორციელებას, რაც გულისხმობს: შესყიდვების წლიური გეგმის და შესყიდვის ობიექტების სპეციფიკაციების პროექტის პირველადი საჭიროებების მკაფიოდ განსაზღვრას, ანუ საჭიროებების დაკმაყოფილების ალტერნატივების განხილვას და ყველაზე მისაღების შერჩევას; ბაზრის სრულყოფილი კვლევის მიზნით, შესყიდვის ობიექტების მიმართ წაყენებული მოთხოვნების მოკლე აღწერას და სავარაუდო პრეტენდენტებისათვის შესაბამისი წერილების გაგზავნას (ოფიციალურ მიმოწერას). ყოველივე აღნიშნული კი მოქმედი კანონმდებლობის და მეთოდოლოგიის შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იყოს დაგეგმვის ეტაპზე (გვ. 13);
5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით ერთიან ელექტრონული სისტემის CMR მოდულში 25 შემთხვევაში დარღვეული იყო ხელშეკრულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვის ვადები, ხოლო ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა ატვირთული. აღნიშნულით, ფაქტობრივად ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის დროულად შეტანა (გვ. 16);

6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით 22 შემთხვევაში (მათ შორის 10 საბოლოო) არ გაფორმებულა შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ერთიანი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში არ იყო ატვირთული 70 შესრულება/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო ვადების დარღვევით ატვირთული იყო - 6 ხელშეკრულება, 5 შესრულება/ შეუსრულებლობის დამადასტურებელი და 14 გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნულით, ფაქტობრივად არ იყო უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება, ხოლო რიგ შემთხვევაში შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის ასახვა ან დროულად შეტანა (გვ. 17) ;

7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში:

- 2016 წელს შეძენილი 375.00 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივი (ვებ-გვერდი), რომელიც საკუთარი შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენდა მცირეფასიან გრძელვადიან აქტივს, შეცდომით აღიარებულ იქნა, როგორც ძირითადი აქტივი და დაერიცხა ცვეთა;

- 2016 წელს შესყიდული 2,234.00 ლარის ღირებულების "გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების" შეძენისა და ხარჯებში ჩამოწერის ოპერაციები, ბალანსის დანართი ფორმა N5-ში არ ასახულა;

- ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში საწყის ნაშთად არ დაფიქსირებულა 2015 წლის 31 დეკემბერს შპს „რომპეტროლ საქართველოსგან“ მიღებული 1,146.60 ლარის ღირებულების (780 ლიტრი) საწვავის ტალონები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად გახარჯული 720.30 ლარის ღირებულების (490 ლიტრი) ტალონების საფასურის გადახდა განხორციელდა 2016 წლის 08 თებერვალს, ხოლო დარჩენილი 426.30 ლარის ღირებულების (290 ლიტრი) საწვავის ტალონები, შესაბამისი გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების გარეშე, დაუბრუნდა შპს „რომპეტროლ საქართველო“-ს, ტალონების შეძენისა და ხარჯვის ოპერაციები 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-სა და ბალანსის დანართ ფორმა N5-ში არ ასახულა;

ყოველივე ზემოაღნიშნულით, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების აღრიცხვის და ხარჯვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავდა რეალურ მდგომარეობას (გვ. 17);

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში:

- ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში საწყის ნაშთად არ დაფიქსირებულა 2015 წლის 31 დეკემბერს შპს „რომპეტროლ საქართველოსგან“ მიღებული 565.95 ლარის ღირებულების (385 ლიტრი) საწვავის ტალონები. ხოლო ტალონების შეძენისა და ხარჯვის ოპერაციები 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-სა და ბალანსის დანართ ფორმა N5-ში არ ასახულა;

- ბალანსის დანართ ფორმა N3-ში ანგარიშზე 7300 „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“, არ იყო დაფიქსირებული ცვეთის თანხა 15,132.76 ლარის ოდენობით;

- საქონელი და მომსახურების მუხლიდან შეძენილი 798.15 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების (მ.შ 565.95 ლარის ღირებულების 385 ლიტრი საწვავის ტალონი)

და 6,575.13 ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივების მიღება-გასვლა ასახული არ იყო ბალანსის დანართ ფორმა N 5-ში;

- 668.00 ლარის ღირებულების დანაკლისები (2011 წელს მოპარული ლეპ-ტოპები), ასახული არ იყო ბალანსის დანართ ფორმა N7-ში;

ყოველივე ზემოაღნიშნულით, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივებისა და დებიტორული დავალიანებების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავდა რეალურ მდგომარეობას. (გვ. 18);

9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტში:

- 2016 წელს შეძენილი 375.00 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივი (ვებ-გვერდი), რომელიც საკუთარი შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენდა მცირეფასიან გრძელვადიან აქტივს, შეცდომით აღიარებულ იქნა, როგორც ძირითადი აქტივი და დაერიცხა ცვეთა;

- საქონელი და მომსახურების მუხლიდან შეძენილი 1,997.2 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების (მ.შ 882.00 ლარის ღირებულების 600 ლიტრი საწვავის ტალონის) მიღება-გასვლა ასახული არ იყო ბალანსის დანართ ფორმა N5-ში;

- საქონელი და მომსახურების მუხლიდან შეძენილი 798.15 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების (მ.შ 565.95 ლარის ღირებულების 385 ლიტრი საწვავის ტალონი) და 6,575.13 ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივების მიღება-გასვლა ასახული არ იყო ბალანსის დანართ ფორმა N 5-ში;

- 12,773.00 ლარის ღირებულების დანაკლისები, რომელიც წარმოადგენს ზემო აფხაზეთში დარჩენილ ქონებას ასახული არ იყო ბალანსის ფორმა N7-ში;

ყოველივე ზემოაღნიშნულით, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივებისა და დებიტორული დავალიანებების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავდა რეალურ მდგომარეობას (გვ. 19);

10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის (სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს) მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ მომხდარა სსიპ გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს კვარტალური და წლიური ბალანსების დამტკიცება (გვ. 20);

11. მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებისას. კერძოდ:

- 2016 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში კვლავ იყვნენ დასაქმებული შტატგარეშე მომუშავეები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად რიგ შემთხვევაში ირიცხებოდნენ ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში;

- 2015 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიერ 67 სახელმწიფო შესყიდვიდან, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში, 63 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების

შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი 255 შემთხვევაში დაგვიანებით იყო ატვირთული. მიუხედავად სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციისა, ორგანიზაციის მიერ 2016 წელს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საერთოდ არ ყოფილა ატვირთული;

- 2016 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში კვლავ იყვნენ დასაქმებული შტატგარეშე მომუშავეები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად რიგ შემთხვევაში ირიცხებოდნენ ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში (გვ. 20).

რეკომენდაციები

1. შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად (გვ. 11);
2. შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად (გვ.12);
3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა (გვ. 13);
4. შესყიდვების გეგმის ბიუჯეტის შესახებ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესდეს შესაბამისი კონტროლი. შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე განხორციელდეს საჭიროებების მკაფიოდ განსაზღვრა და ყველაზე მისაღები ალტერნატივების შერჩევა. ჩატარდეს ბაზრის ჯეროვანი შესწავლა კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს რესურსების ეფექტიანი, ეკონომიური და პროდუქტიული ხარჯვის გამჭვირვალობას (გვ. 16);
5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი დოკუმენტაციის დროულად ატვირთვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა (გვ. 17);
6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში შესყიდვების განხორციელების პროცესში გაფორმდეს შესაბამისი დოკუმენტები, ხოლო, შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა (გვ. 16);
7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტში შესაბამისი საბუღალტრო გატარებების (კორექტირებების) შემდეგ დადგენილი წესის

მიხედვით განხორციელდეს ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ცვლილებების შეტანა (გვ. 18);

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში შესაბამისი საბუღალტრო გატარებების (კორექტირებების) შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით განხორციელდეს ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ცვლილებების შეტანა (გვ. 19);

9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტში შესაბამისი საბუღალტრო გატარებების (კორექტირებების) შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით განხორციელდეს ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ცვლილებების შეტანა (გვ. 20);

10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება მოხდეს დადგენილი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით (გვ. 20);

11. შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმების კანონმდებლობის ჩარჩოში მოსაქცევად და შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში სათანადო დოკუმენტაციის ატვირთვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს სას-ის რეკომენდაციების შესრულება (გვ. 21).

აუდიტორთა ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

ბონდო გასვიანი

მიხეილ გოდოლაძე

ეთერ კაცაძე

25 ივლისი 2017 წელი